

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სამუშაო ვიზიტი  
იაპონიის სახელმწიფო აუდიტორულ საბჭოში

იაპონიის სახელმწიფო აუდიტორული საბჭოს პრეზიდენტის მასაკი ნიშამურას მიწვევით კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და კონტროლის პალატის თანამშრომლები სამუშაო ვიზიტით ეწვივნენ იაპონელ კოლეგებს.

იაპონიის სახელმწიფო აუდიტორული საბჭო წამყვანი უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტია არა მარტო აზიის რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში. იგი შეიქმნა 1880 წელს, ხოლო 1947 წლიდან გამოეყო რა მთავრობის კაბინეტს, გახდა დამოუკიდებელი ორგანო, INTOSAI-ს წევრია 1958 წლიდან. აუდიტორული საბჭოს 1200 თანამშრომლიდან 900 აუდიტორია, რომლებიც ასრულებენ ფინანსურ, შესაბამისობის, ეფექტიანობის აუდიტს და ასევე დამოუკიდებლად ამოწმებენ სახელმწიფო ინფრასტრუქტურული მშენებლობების ხარისხს.

აუდიტორების მომზადება, პროფესიონალური უნარ-ჩვევების შესწავლა და მათი გაუმჯობესება მუდმივად მიმდინარეობს სპეციალურად შექმნილ აუდიტორული საბჭოს სასწავლო ცენტრში, რომელიც მდებარეობს ქ. ანაკაში. სასწავლო პროგრამები განკუთვნილია:

- ახალი დანიშნული აუდიტორებისთვის;
- უმცროსი აუდიტორებისთვის;
- აუდიტორის ასისტენტებისთვის;
- აუდიტორებისთვის;
- მენეჯერებისთვის.

სასწავლო პროგრამები მოიცავს როგორც სემინარის ტიპის, ისე ტექნიკური ხასიათის ტრენინგებს.

კონტროლის პალატის მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანი იყო გაცნობილი სასწავლო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას, რამეთუ სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სასწავლო ცენტრის შექმნა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

იაპონიის სახელმწიფო აუდიტორული საბჭო ფინანსურ და შესაბამისობის აუდიტს ატარებს ყოველწლიურად იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებიც ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს 50% წილს ან ფინანსდებიან სხვადასხვა გზით (საკუთარი შემოსავლები). ასევე, შესაბამისობისა და მიზნობრიობის აუდიტი უტარდება იაპონიის სახელმწიფოს საერთაშორისო დახმარების ფონდის ხარჯებს. ეფექტიანობის აუდიტი ტარდება შერჩევით, წლის განმავლობაში ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე. რაც შეეხება IT აუდიტს, იყენებენ CEFIAN - ის პროგრამას აუდიტის ობიექტებიდან საბოლოო ანგარიშების მიღებისა და დამუშავებისთვის, CANAL - ის პროგრამას, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ აქტივებზე ინფორმაციის მოპოვებისთვის და KOZEK -ის პროგრამას, სახელმწიფო გადასახდელების ინფორმაციის მიღება/დამუშავებისთვის.